

ნაბ. ბ. სამსონაძისა

1  
1964



ქრისტეული  
ბიზლირთეკა

ს ე დ ე მ ი

საქართველოს  
კომუნისტური  
პარტიის  
XXII ყრილობის  
დელეგატებს!

ვინც ქარხნებში, ველ-მინდვრებში,  
ჩვენს საშოგლოს დოვლათს მატებს,  
მთელი ხალხი სალამს უძღვნის  
შრომის გმირებს—დელეგატებს.



№ 2 თბილისი იანვარი 1964

ნიუნუ

გამოცემის 41-ე წელი. ფასი 20 კპ.

## 306 უფრთხილდება ჩვენს ჯანმრთელობას

ყველა ადამიანი ერთნაირად მზრუნველი როდია, „კაცი არ ყველა სწორია. დიდი ძეს კაცი კაცადის“, — ამბობდა უკვდავი შოთა.

რომ ჩვენი მშობლები უფრთხილდებიან ჩვენს ჯანმრთელობას და გვეუბნებიან: გაუფრთხილდი, შვილო, შენს ჯანმრთელობას, ნაკლები დალიე ან სულ ნუ დალიე, მაგ ოხერი სმას არც არავისთვის დაუყრია ხეირი და არც შენ დაგაყრის, არ შეგვრცხვეს და გულში ან ერთმანეთს შორის მაინც ვამბობთ, რომ ისინი ცამდე მართლები არიან.

ასევე ვამართლებთ ჩვენს საყვარელ, სანუკვარ და სასიქადულო ცოლებს, რომლებიც: გასკდეს შენი მუცელი, ნუ სვამო, რომ გვეუბნებიან და გვინდა თუ არ გვინდა, ხანდახან ყველას თვალწინ ხელიდან გეტაცებენ სასმისს.

ჰოდა, თუ ესენი არიან კარგი და საყვარელი ხალხი, რა დააშავეს სხვებმა, რომლებიც უხეშ სიტყვას არამც და არამც არ გვაკადრებენ და უსიტყვოდ აკეთებენ ჩვენთვის და ჩვენთანებისათვის სანუკვარ და სასარგებლო საქმეს? აი, მაგალითად, შენ, როგორც უწყსრიგო, უდისციპლინო და, ასე ვთქვათ, უხეირო ადამიანს, მოგინდა, და რა შეილი ხარ, რომ შენ კარგი რამე მოგინდეს... მოგინდა დალიო, არა, კი არ დალიო, გადაპკრა ხუთასი გრამი, ანუ ნახევარი ლიტრი არაყი. № 122 კიოსკის გამყიდველი ბალათურია 500 — გრამის ნაცვლად 400 გრამს გაძლევეთ და ამით თქვენს ფილტვებსა და ჯანმრთელობას ფასდაუდებელ სამსახურს უწევს. ახლართია ბალათურია ცუდი კაცი? მართლა მაინც და მაინც უნდა გასკდე, შენი ცოლის თქმისა არ იყოს? ურიგო საქმე არაა სმა, მაგრამ ნორმა უნდა, ზიძია.

ასეთივე და შეიძლება უფრო მეტი მზრუნველები გახლავთ—№ 183 კიოს-

კის გამყიდველი ქადაგიშვილი, რომელიც ყოველ ღამე ლუდში, სულ რაღაც 100 გრამს გაკლებთ და კიდეც უფრო ზუსტი № 128 კიოსკის გამყიდველი ლევან ივანეს ძე ოვანეზოვი, რომელიც 50 გრამი ლუდით იცავს თქვენს ჯანმრთელობას ყოველგვარი ჭირისა და სნეულებისაგან.

მართო სმა კი არ გეგონოთ მავნებელი, ჭამაც, მეტისმეტი ჭამაც მავნებელია, და ამიტომ, შიგადაშიგ გაკლებენ თევზსაც, ხიზილალასაც, კარაქსაც, ქიშიშსაც, ბრინჯსაც, და, თქვენ წარმოიდგინეთ, კარტოფილსაც კი.

ჰოდა, თქვენ როგორც უმადური ადამიანი, ამ საქციელს, რომლისთვისაც მის ჩამდენს მხურვალე მადლობა ეკუთვნის, თქვენ ლანძღავთ და უპატიოსნობად მიიჩნევთ.

როგორ გეკადრებათ, თქვენგან მიკვირს სწორედ, კარგი გიქნეს და ცუდად აფასებთ, არა, ძმაო, ასე არ გამოვა, თუ კაცი ხარ და ქუდი გზურავს, სამართალი უნდა ქნა, რამეთუ, ხომ გავიგონია: „ქმნა მართლისა სიმართლისა ხესა ხმელსა შეიქმს ნედლადო“.

ჰოდა, შეშალ თუ არ გინდა, ხე ყოველთვის ნედლი სკობია.

ასე არ არის თუ?

### ს. ზუზაკვი.

### ტარანი თვლითა

ცხოველდამზადების ასპინძის პუნქტის გამგეს ნუშავეან მიხეილის ძე კერექიანსა და ახალციხის რაიონის სოფელ საბოს კოლმეურნეობის ფერმის გამგე ნიკოლოზ ვლადიმერის ძე ლობჯანიძეს შორის შემდეგი საუბარი გაიმართა:

- ფულის შოვნა მინდა, — თქვა ნიკოლოზმა.
- მეც, — დაუმოწმა ნუშავეანმა.
- რაღაც აზრები მომდის და მგონი ვამოვა!
- აბა, ჰე, აბა ჰო!

- ტარანი ხომ თვლითაა, ნუშავეან!
- მართალი ბრძანებაა!
- ჰოდა, მაშ, ფული ვითომც ჯიბეში ვდებია.

— როგორ?  
— როგორ და, ხომ ვითხარი, ცარიელი ჭკუის კოლოფი ვარ — მეთქი, პანახე, თუ არა ვარ. ავიღებ ცოტადეც ფულს, მივალ მწყემსთან, მწყემსი მომცემს ხბოებს, ხბოებს მივიყვან ფერმაში. ფერმა მიიღებს ხბოებს, სანაცვლოდ მომცემს ძროხებს, ძროხებს მოგიყვან შენ. შენ ჩაიბარებ ძროხებს, მომცემ სანაცვლოდ მოზრდილ ფულს, გავხდები მე ფულიანი. განდები შენც ფულიანი და ფულიანი განდებიან სხვები, რომლებიც ამ უწყინარ საქმეში წილს დაიღებენ, მერე, მორჩა და გათავდა, არც მწვადი დაიწვება, არც შამფური, ფერმის საქონლის სულადობას არაფერი მოაკლდება, ხბოებიც კმაყოფილი იქნებიან. ყელი უდროოდ რომ არ გამოვლადრეთ! ძროხებიც — რომ ხბოების გადასარჩენად თავის განწირვის შესაძლებლობა მივეცი და ჩვენი ცოლშვილიც, — ხელდამშვენებულები რომ მივუვალო.

— ჩინებულ გეგმაა, — მოეწონა ნუშავეანს, — მაგრამ, ნუ გეწყინება და სწორედ იმ ფონს გავს, ერთგან რომ ახრჩობს. აბა თავი გაანძირე: ძროხებს რომ მომიყვან, მოწმობები ხომ უნდა?  
— მაშინ... მოახერხე რამე... შენი სახეთქიც ხომ არის?

— არის, მაშ არ არის თუ? იცი რა, მიღი, ასპინძის სადაბო საბჭოს მდივანი მაისურაძე და მოანგარიშე გურული ნახე, ისეთი ადამიანებია გაჭირვების ტალკვესს რომ იტყვიან, წერა-კითხვა ზეპირად იციან, ასეთ საქმეში ხელი გაწაფული აქვთ და არ დაგამადლიან, დაგიწერენ, იმათ ვენაცვალე, ყანყარატომში ვენაცვალე!!

შეღვა გეგმა ბოლომდე, აიწყო საქმე, იყიდეს ორი ხბო 50-50 მანეთად, შეაგდეს ხბოები ფერმაში, გამოირეკეს ორი ძროხა, მაისურაძემ და გურულმა გააშანშალეს ორი მოწმობა, წარუდგინა ნიკოლოზმა ორი მოწმობა ცხოველდამზადების პუნქტს, ირწმუნა პუნქტმა საქმიანი ქალაქების ლაღების სისწორე, აიწონა ძროხები, გადამარავლდა ცოცხალი წონა კილოგრამის ფასზე, დაჯამდა, დაბალანსდა და მისცეს ნიკოლოზს 616 მანეთი. ნიკოლოზმა გაანაწილა თანხა „დამსახურებისამებრ“ და ჩადგა წყალი კალაპოტში, წესრიგში აღმოჩნდა ყველაფერი, ფერმაში საქონლის სულადობა უცვლელი დარჩა, ყველა მოქმედი პირი საკუთარ თანამდებობაზე დარჩა და დარჩა ყველა კმაყოფილიც... მაგრამ, ბოლოს, იბღავლეს ძროხებმა, პირუტყვები კი ვართ, მაგრამ პირმეტყველთა ამდენ უსამართლო ქცევას ვერ მოვიტოვებთ და ჭამა სამართალმა პური... გამოუძახეს სხვათა და სხვათა, კითხეს ესა და ის, ათქმევინეს, დაამოწმებინეს, მიიკითხეს — მოიკითხეს და არც ერთი აღარ გაიკითხეს: ამბობენ პასუხისგებაც დააკისრესო. შუბლის კანიც სქელი აქვთ და კისრებიც, აიტანს მათი კისრები.

კ. ხუციშვილი

ნახ. ნ. მაღალაონიანი



— რა არის, კაცო, ფეხსაცმელზე რომ არცერთმა ტყავმა არ გაგიძლო?  
— ხაკვირველია, სულ ლოგინში ვგორაობ და ფეხსაცმელს რა ხეცვ?!  
კ. ხუციშვილი

# "არქანდელის კომუნა"



განუყრელი მეგობრები

— სალაში და გამარჯვება, პატივცემულ მეგობარო. მაპატიეთ რომ გაწუხებთ, აქ ახლო-მახლო შემნახველი სალარო ხომ არ გეგულებათ? — ასეთი კითხვით მიმართა ბორის იოსების-ძე ელიგულაშვილმა თბილისის ერთ-ერთ ქუჩაში მდგარ ნიკოლოზ ბარსევანიძეს.

— აქ ახლო არ უნდა იყოს, მაგრამ ქალაქში შემნახველი სალაროების მეტი რა არის, კაცს როცა დასჭირდება შემნახველ სალაროს ყოველთვის მიაგნებს. — უპასუხა ნ. ბარსევანიძემ.

— მოგებოთ კი მოვაგნებ, მაგრამ ნაცნობი მინდა ვინმე, სანდო კაცი — მოწიწებით უთხრა ბ. ელიგულაშვილმა.

— ფულის შენახვას ნაცნობი რად უნდა. ფულს მიიტან და ყველა გაგიცნობა, ყველა დაგიახლოვდება, ყველა დაგიმეობრდება. — კვლავ განუმარტა ნ. ბარსევანიძემ.

— გაუქვილს გატეხილი სჯობს. მე ვმუშაობ მშენებლობაზე. ალალი შრომით ვირჩენ თავს. ამჟამად მუშაობა მიხდება დანგრევაზე. ვანგრევთ ძველ სახლებს, რომ მის ადგილზე ახლები ააშენონ. და ერთი სახლის დანგრევისას კედელში ვნახე რძის ბიდონი, რომელშიც ელაგა აი ეს ჭრელი ქალაქები. — ბორისმა გაუწოდა ამ „ქალაქის“ ორი ნიმუში.

ნ. ბარსევანიძემ დახედა თუ არა ჭრელ ქალაქებს, წამოიძახა: „ეს იცი რა არის? ამას ოქროს ობლიგაციები ჰქვია, ფულის ძალა აქვს და ფულსაც იგებს“

— მეც ეგ ვიფიქრე და ამიტომაც არავისთვის არ მიჩვენებია. რ მიხდოდა გამეღავენება, მიტომ დავეძებდი სანდო კაცს და აი ბედმა შენთან შემახვედრა. — უთხრა ბორის ელიგულაშვილმა.

— კარგი, ეს ობლიგაციები მე დამიტოვე, შევამოწმებ შემნახველ სალაროში და დანარჩენზე შემდეგ მოვილაპარაკოთ. ნ. ბარსევანიძემ ბინის მისამართი მისცა ახლად გაცნობილს და მეორე დღისათვის დაიბარა.

ნ. ბარსევანიძემ ობლიგაციები შემნახველ სალაროში წარადგინა გასანადგებლად და 30 მანეთი უყოყმანოდ მიიღო. როცა ბ. ელიგულაშვილმა მიაკითხა მას, 15 მან. გადასცა და უთხრა: შენი ობლიგაციები ნამდვილი გამოდგა. სულყველა მომიტანე და მე მოგებმარები გავიდვაში. შეიძლება მე თვითონ შევიძინო.

ერთ საათში ბორის ელიგულაშვილი რძის ბიდონით მიადგა სახლში ნ. ბარსევანიძეს. ნიკომ ბიდონს თავსახური ახადა და შეხედა თუ არა 3%-იან ობლიგაციებს, თვალები გაუბრწყინდა. შემდეგ ფაქზად დაახურა ბიდონს სახურავი და პირდაპირ დაუსვა კითხვა: რამდენი მოგცეო.

— შენს სინდისზე იყოს. მხოლოდ მთლად რუ გამაცრუებ, საწყალი კაცი ვარ, წვრილი ცოლშვილის პატრონი და ოჯახს რამეს შევძენ. — მოწიწების კილოთი უთხრა ბორისმა.

— ვაგროვებდი ფულს, ბინის აშენებაზე ვფიქრობდი, როგორც იქნა 1700 მან. მოვუყარე თავი, სხვა მეტი არ მაქვს და იქნებ იკმარო. არც ისე ცოტაა და არც ისე იოლად საშოვარი. — ნიკომ დაიწყო ფულის დათვლა. ბორის ელიგულაშვილმა მოწიწებით გამოართვა ფული, გაახვია რატინის ნაჭერში და ნიკოლოზს მიმართა: გატეხობ ჩემსავით პატიოსანი კაცი ყოფილხარ. მე კიდევ მაქვს ასეთი ობლიგაციები, წავალ და იმასაც მოგიტან. მანამდე აქ იყოს ეს ბიდონიც და ეს ფულიც.

ბორის ელიგულაშვილი წავიდა და დაუბარა ახლავე მოვალო. ნ. ბარსევანიძემ კარები ჩაკეტა, მოთმინება აღარ ეყო და ბიდონი მაგიდაზე წამოაპირქვა. ბიდონიდან გადმოცვივდა რამდენიმე ცალი ობლიგაცია, იმავე ზომით დაჭრილი ქალაქები და შემდეგ პურის ნატეხები. ნიკოლოზი სახტად დარჩა, ეს რა გამიკეთებიაო ჩაილაპარაკა, მაგრამ გაახსენდა, რომ ფული მასთან იყო დატოვებული, დაწყნარდა. სიმწრის ოფლი მოიწმინდა და რატინის შავი ნაჭერი გახსნა. ნიკოლოზი მაშინვე ჩაიკეცა. შავ ნაჭერში ფულის ნაცვლად გაზეთები აღმოჩნდა.

ნ. ბარსევანიძემ შემდეგ შეიტყო რომ ბორის ელიგულაშვილი ქ. ქუთაისის მკვიდრია (მცხ. ტელმანის ქ. № 45-ში) ასეთი „აღმოჩენების“ ძველი ოსტატი ყოფილა და თაღლითობისათვის არაერთხელ გასამართლებული...

### 3. ნიკოლოზიშვილი



# საქართველოს ბიბლიოთეკა

საქართველოს ბიბლიოთეკის  
სამუშაო გეგმა  
2023 წლისათვის

## საქართველოს

საქართველოს ბიბლიოთეკის  
სამუშაო გეგმა  
2023 წლისათვის



საქართველოს ბიბლიოთეკის  
სამუშაო გეგმა  
2023 წლისათვის

საქართველოს ბიბლიოთეკის  
სამუშაო გეგმა  
2023 წლისათვის



მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილი ლონდონის სანათლის ქანდაკებათა მუზეუმი. აქ თქვენ შეგიძლიათ იხილოთ ცვლისაგან გამოქვეყნებული ისტორიული პიროვნებათა მთელი სერია: მთავარსარდლები, მეცნიერები, მწერლები, დიქტატორები და, რასაკვირველია, მეფეები. დიას, მეფეები, რადგანაც ინგლისის პოლიტიკური პეიზაჟი დღესაც წარმოუდგენელია მონარქის გარეშე. რა ვქნათ, ბატონო, ტრადიციას! — ამბობენ ინგლისელები და გულმოდგინედ გეპატარებებიან ქანდაკებათა მუზეუმში.

მართლაც საოცრებაა! თქვენს გარშემო თითქოს ცოცხლები დგანან ტიუდორები და სტიუარტები, ლორდები და პრემიერ-მინისტრები. მშვენიერი ხელოვნება! და მას უკანასკნელ დრომდე კონკურენტი არ ჰყოლია. მართალია, პარიზში და ზოგიერთ სხვა ქალაქში სცადეს ამგვარი მუზეუმების გამართვა, მაგრამ ლონდონის კოლექცია არავის უთმობდა პირველობას და უნიკალური რჩებოდა.

მაგრამ დღეს ვითარება მკვეთრად შეიცვალა. ლონდონის მუზეუმი საბოლოოდ დაიჩრდილა და ამაში (რა დასამალოა!) მთავარი ბრალი ჩვენი დროის ცოცხალ სამუშაოში იშვიათობას — ესპანეთის მბრძანებელ კაუდილიოს ეკუთვნის.

მაშ ასე: „საქველმოქმედო“ მიზნით გადაწყვიტეს გრანდიოზული საღამოს მოწყობა ბარსელონაში. ალაპარაკდნენ გაზეთები, რადიო, ტელეხედვა: დავეხმაროთ ლატაკთ და ავადმყოფთ! დავეხმაროთ კელსისას!

— ბიჭოს, ეს რა ამბავია ჩვენს თავს? — კითხულობდნენ რიგითი ესპანელები. კაუდილიო ან შეიშალა ან... ღვთის რისხვის ეპიზოდი სიბერის ვაჟს?

და არავინ წაჩაობდა გამოსაღმოდ უკანასკნელ ესკუდოს მაშინ კი ამოქმედო მძიმე არტილერია: რეკლამამ დაიპყრო ქუჩა, გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლები.

„იჩქარეთ ბარსელონაში! თქვენ იხილათ საოცარ სანახაობას! მეფეები! მსოფლიოს თითქმის ყველა დინასტიის წარმომადგენლები! შეგიძლიათ ნახოთ, ხელით შევხოთ და უჩქარებოთ კიდევ, რომ დარწმუნდეთ მათ რეალობაში!

არავითარ მოტყუებას ადგილი არ ექნება. პირველად კაცობრიობის ისტორიაში!“

ორი უკანასკნელი წინადადების ლოგიკური კავშირი ამჟამად იყო: თუ ფრანკო და ფალანგისტები აქჯერად არ სტყუოდნენ, ეს მართლაც პირველი შემ-

თხვევა იქნებოდა ფაშისტური რეჟიმის ისტორიაში...

დანიშნულ დღეს დანიშნულ ადგილას დაიწყო ეს არაჩვეულებრივი სანახაობა დუჟინობით იყრებოდნენ მანქანებიდან თითქოს ცოცხალი მეფეები, სამეფო დინასტიის წარმომადგენლები: ჰოგენცოლერნები, ჰოგენლოები, ბურბონები. ვიღაცამ ამ ბრწყინვალეობით აღსაყვებლად ბრბოს შორის რომანოვების ერთ-ერთი აზრდილიც კი შენიშნა.

ბრწყინავდა ოქრო და ძვირფასეულობა (ნამღვილი და ყალბი, საკუთარი და დროებით ნასესხები), იფრქვეოდა ფეიერვერკი, ისმოდა გამაყრუებელი მუსიკის ხმა. ყველაფერი რიგზე იყო. ამ გვირგვინოვან არსებათა აღლუმს ხელმძღვანელობდა თვით ბულგარეთის მეფე — მისი უდიდებულესობა სიმონი.

უცებ გაისმა ბრძანება: „სმენა!“ და მრავალი სამეფო სახლის უმუშევარი წარმომადგენელი გაქვავდა მწკრივში. ახლოვდებოდა სანახაობის კულმინაციური მომენტი: ზეიმზე გამორჩენდნენ ესპანეთის ტახტის მემკვიდრე და მისი მეუღლე, რომელთა „ბრწყინვალეობამ“ ყველაფერს გადააჭარბა. ერთ-ერთი კორესპონდენტის გამოანგარიშებით, იმ ოქროსა და ძვირფასეულობის საერთო წონა, რომლითაც შემკული იყო ესპანელი პრინცესა, 25 კილოგრამს აღემატებოდა! ერთი სალაშქროდ გამზადებული ჯარისკაცის თითქმის მთელი შეიარაღების წონა!

ესპანელი სეფეურების გამოჩენა ატარებდა სიმბოლურ ხასიათს:

ეს იყო წარსულის შეხვედრა ოცნებაში გადასულ მომავალთან. საქმე ისაა, რომ ფრანკომ უკვე უანდერძა თავის მემკვიდრეებს ესპანეთში სამეფო ტახტის აღდგენა. რასაკვირველია, ამ ამბავმა არაჩვეულებრივი აღტაცება გამოიწვია იმედგაცრუებულ გვირგვინოსანთა შორის: მაშასადამე, მონარქია შეიძლება არა მარტო დაეშვოს, არამედ აღსდგეს კიდევ! და მათ მიაშურეს ესპანეთს, სადაც დღეს იმდენმა სამეფო ტახტდაკარგულმა მოიყარა თავი, რომ მათგან მთელი ექსპოზიციის შექმნა შეიძლება ყველა რესპექტაბელურ მუზეუმში.

გაფრთხილება ხმა: ფრანკო სწორედ ასეთი ექსპოზიციის გაშლას აპირებს. ერთი მეფე (ესპანელი) ავა ტახტზე, სხვანი (მაღე მათ დასაპირტვა დასჭირდება) განლაგდებიან მის გარშემო. ტყუილად ხომ არ ჩამოსულან ისინი ესპანეთში. სხვათა შორის, ერთი საინტერესო დეტალი: ყველა თავის ქვეყნიდან გაძე-

ვებული დიქტატორი, და ერთპიროვნული მმართველი ესპანეთში მიიღტვის. ასე მოიტყნენ არა მარტო სხენებული მონარქები, არამედ შავბნელი საქმეებით ისეთი საკმაოდ ცნობილი პირები, როგორც ყოფილი კატანგელი მბრძანებელი ჩომპე და ფრანკო ბაასისტების ლიდერი საალია.

როგორც ხედავთ, შეიკრიბა ბრწყინვალე თაიგული. და რა გასაკვირია, რომ ლონდონის სანათლის ქანდაკებათა მუზეუმს ამის შემდეგ გაატარება ემუქრებოდა.

მაგრამ დავებრუნდეთ ბარსელონას. ზეიმი დამთავრდა. დათვალეს შემოსავალი და ნახეს, რომ ამ ფულით ძლივს გაისტუმრებენ გვირგვინოსან მსახიობთა პონორარს. რა ვუყოთ მეფე, ისინიც ხომ „ლატაკნი“ და „ავადმყოფნი“ არიან! მათაც გარკვეული კვება სჭირდებათ.


რისთვის გიაშბუთ ყოველივე ეს? საქმე იმაშია, რომ დასავლეთის ქვეყნებში სულ უფრო მომძლავრდა სმები ფრანკოს რეჟიმის ტრანსფორმაციის შესახებ. „ფრანკო დემოკრატის უახლოვდება!“ — გაჰყვირიან იქ. ეს იმისათვის სჭირდებათ, რომ როგორმე აუხსნან უბრალო ადამიანებს, თუ რატომ დაიძლიერა კავშირი ფაშისტ დიქტატორთან. განა შეიძლება მასთან ერთად თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლა? ე. ი. ან ეს თავისუფლება არ არის თავისუფლება, ან ფრანკო არ არის ფრანკო. უკანასკნელი ვარიანტი არჩიეს, და ასე, ხელის ერთი მოქნევით, კაუდილიო დემოკრატიისათვის მებრძოლთა რიგებში უნდათ ჩააყენონ.

ფრანკო — დემოკრატი და კაცთმოყვარეა. ამას განა არ მოეშობს ბარსელონაში გამართული ფრანკოტროპიული საღამო? ან კიდევ: უკანასკნელ დროს ლაპარაკია ესპანელთათვის საყვარელ კორიდა დე ტოროსის (ხართა ბრძოლა) გაუქმებაზე. თურმე ნუ იტყვიოთ, გულგრილი კაუდილიო ვერ იტანს საბრალთ ცხოველების ამგვარ ბარბაროსულ მკვლელობას!

აბა ამის შემდეგ მოდი და ამტკიცე, რომ ესპანეთში ცივილიზაცია არ არის და ფრანკო ფაშისტია. თქვენ იტყვიოთ: კი მაგრამ, მემხატეთა დევნა და დაპატიმრება, პროგრესული ადამიანების ხოცვა-ჟლეტა?

აიას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია პრინციპი პრინციპში კი ფრანკო — „დემოკრატია!“

ზანზი ბარა



ნახ. დონისა

## დაკარგული ბილეთები

დაუთხოვავად გაიღო კაბინეტის კარი და დირექტორის მდივანი შემოგოგმანდა.

— ბატონო სევასტი, ჩვენი გიგოსათვის მანქანას გაუკრავს გვერდი და ცალი ხელი მთლად დაუფილი ჰქონია.

— გოგო რომელი! — იყვირა პროკლეშ, ახალგაზრდა ინჟინერი?

— დიას, ბატონო!

— აუჰ! ეგ ხომ სტალიონის ბილეთებზე მყავდა გავაზვინილი, კაცო! — შეიცხადა პროკლეშ.

— ბილეთებზე! — წამოიძახა ყველამ და წამოცვივდნენ.

— მაში ნეტავ აქედან მიმავალს დაეჩახა თუ იქიდან მიმავალს? — დაინტერესდა პროკლეშ.

— მაგით რას უშველი საქმეს? — მიაძახეს აქეთ-იქიდან.

— რატომ, იქნება აქედან მიმავალს დაეჩახა და მაშინ ბილეთები ასაღები იქნება.

პროკლეშს მიხედვრილობამ შეკრებილთ სახეები გაუბადრა. დირექტორმა წყალობით გადახედა საწრიან მუშაკს და ბრძანა დაეშუსტებინათ.

ატყდა რეკვა. სირბილი. პროკლეშ დააშუსტა.

— სევასტი სპირიდონიჩ, ეს მომხდარა

მაშინ, როცა თურმე ბილეთები აუღია და სამსახურისკენ მოემართებოდა...

— აუჰ, — იყვირა გამოფხიზლებულმა სამნეომ, — იღბალი არ გინდა, რაღა გამოსვლისას დაეჩახა!

— განგებ ხომ არ დაეჩახა ნეტავი? — დაეკვდა ვილაც.

— რატომ, კაცო?

— რა ვიცი, ეგებ ამხანაგებისათვის უნდოდა ბილეთები და...

— აჰ, არა, სერიოზულად ყოფილა დაშავებული, სასწრაფოში წაუყვანიათ.

— დავრჩით უბილეთოდ და ეგ არის. სასწრაფოს ექიმებს ახლა შენ წაართმევ იმ ბილეთებს?

— რა მუქთად ჩაიგდეს ხელში?

— ეგებ გაიგეს, რომ ბილეთები ჰქონდა და იმიტომ გააქანეს, თორემ როდის იყო, ასე მაღე მიაბრუნებდნენ სასწრაფოში...

— რა ვიცი, ყველაფერს იღბალი უნდა...

თათბირი ჩაიშალა და სასწრაფოდ დაიშალა. სამწუხარო ამბავმა ყველა დაალონა და დაფაცურა, — ფეხბურთის დაწყებამდე ცოტადა რჩებოდა, სადღა ეშვათ ბილეთები?

რამდენიმე წუთში სამუშაო ოთახი დაიკვალა.

ირ. ყიფინანი



— რას უწუნებ, ბატონო, ამ ღვინოს, დადუღება ვერ მოასწრო და ცოტა ტკბილი დარჩა.



მიმაველინეს.  
მივევლინე. —  
საქმე დამხვდა ჩაშლილი.  
ვაგჯავრდი და ჩემს წინ გაჩნდა  
პურ-მარილი გაშლილი.  
დაჩოქება რას მიქვიან!  
ჩაუფუჭეკი მაგიდას.  
მოდის ღვინო, მოდის გოჭი,  
სულო, გულო, რა ვინდა?!  
მადიდეს და მადღეგრძელეს, —  
მეც შევაქე მასპინძელი.  
სიტყვები ვსთქვით სულ  
ცხელ-ცხელი,  
საქმე დარჩა მაინც ძველი.

3. უინდაპორიკა,  
ამბროლაურის რაიონი, სოფ. სამთისი.



## კ ა ს უ ხ ე ბ ი ს ხ ა კ ა ს ხ უ პ ი თ

ნილოსისა და მისისიპის ნიანგები ათასნაირ საკვებს შეეჭყვიან, მარტო ჩვენი ნიანგი საზრდოობს ფელეტონებითა და ლექსებით, მაგრამ ზოგჯერ იგი ისეთ საკბილოს წააწყდება ხოლმე, რომ ძლიერ უჭირს მისი გადაყლაპვა.

წარმოდგინეთ ღომი, რომელშიც ყველის მაგიერ რკინის ნაჭერი გდია. შემდეგ წარმოდგინეთ უძველესი და უმდიდრესი ტრადიციების მქონე ქართული ლექსი, რომელიც ასეთი სტრიქონებით იწყება:

„ლექსების წერა დავიწვე  
ამაწლის პირველ კვარტილიდან  
რომ წავიკითხე ხმამაღლა,  
სახლში ცოლ-შვილი ატირდა...“

იწერება გ. მიტრიაშვილი, თან დაბეჭდვით გვთხოვს „ნიანგის“ ფურცლებზე მთლიანად გამოვაქვეყნოთ მისი ნაწარმოები. თხოვნას ნაწილობრივ ვასრულებთ, რადგან ამ ლექსის მთლიანად გამოქვეყნების შემთხვევაში მიტრიაშვილის ცოლშვილთან ერთად მკითხველები ცხარედ აქვითინდებიან.

„მე დავიბადე გიჟ მარტის თვეში,  
არ ვიცი რაა ურვა და შიში,  
აღმოვაჩინე ტალანტი ჩემში,  
ქვეყნად არავის ვეგონო გიჟი.“

გ. დარაიძეს თავის თავში დიდი ტალანტი აღმოუჩენია და რატომ ჰგონია, რომ იგი აუცილებლად ვინმეს გიჟი უნდა ეგონოს.

ყველა ავტორი მოითხოვს თავისი ნაწარმოების სასწრაფოდ დაბეჭდვას. ზოგიერთი იმუქრება:

„თუ არ დაბეჭდეთ ჩემი ლექსები,  
გადავარღები ამაღამ მტკვარში,  
და კასპიის ზღვას შევუერთდები,  
როგორც მუხიდან მოწყვეტილ ვაშლი“ ..

არა, სასწაული ის კი არაა, მუხა რომ ვაშლს ისხამს, ბუნებაში რა არ ხდება, საოცარი და საკვირველი ისაა, რომ ალ. ჭიურაძეს თავისი ლექსი შედეგრი ჰგონია:

„არ დაწერილა მსგავსი პქარები,  
არც არასოდეს დაიწერება...“

მართალი არის ავტორი, მსგავსი პქარები არ დაწერილა, არც დაიწერება და არც არის საჭირო, რომ დაიწეროს. თვითონ ალ. ჭიურაძე პროფესიით ექიმი ყოფილა და, თუ, როგორც ექიმს, ასეთივე დიდი წარმოდგენა აქვს თავის თავზე, მაშინ ვაი მისი საცოდავი პაციენტების ბრალი.

რა მოხდა, ჩეხოვი ექიმიც იყო და გენიალური მწერალიცო, მეტყვის მკითხველი, მაგრამ ასეთი ბედნიერი გამოცხადისები ბუნებაში იშვიათად გვხვდება.

იმედი გვაქვს, რომ აქ განქიქებულ ლექსთა ავტორებს არ ეწყიანებათ ჩვენი გამოხდომა, რადგან ოდითგანვე ცნობილია ნიანგის მოულოდნელი ჩასაფრებისა და საკბილოს შოვნის ამბავი.

საოცარი რამ დამართნია ტ. ჭაჭაურს. ასეთი მოვლენა შეიძლება წელიწადში ერთხელ მოხდეს:

„ლექსი დავწერი სიზმარში,  
ხელად შევქმენი ადვილად  
გამომედვება, რას ვხედავ.“

ჩემს წინ ფურცელი აგდია,  
დავხედე იგი ლექსია,  
მართლა რომ მოგავს ქარიშხალს.  
ნიანგო, გამაგებინე  
ესე ამბავი რას ნიშნავს?“

რას უნდა ნიშნავდეს ასეთი საოცრება? მსგავსი შემთხვევის განმეორება ტ. ჭაჭაურმა აუცილებლად უნდა გვაცნობოს, ჩვენც ჩვენის მხრივ ვაცნობებთ ქვეყნად სახელგანთქმულ ფსიქოლოგებს, რომლებიც საბოლოოდ გამოარკვევენ, შეიძლება თუ არა სიზმრად პოეტური ნაწარმოებების შექმნა. ეს ამბავი დიდი შემობრუნება იქნებოდა კაცობრიობის კულტურის განვითარების ისტორიაში. პოეტებს აღარ დასჭირდებოდათ შემოქმედებითი მივიღინებები, უცხო ქვეყნებში ხეტიალი და ღამეების გამუდმებული ტეხა.

მსგავსი აღმოჩენები და სასწაულებრივი მოვლენები ნიანგს ისე ალაფრთოვანებენ, რომ მას მხრების ქავილი აუტყდა. ერთ საოცრებას მეორე ემატებაო, მალე დედამიწას მოევილინება ფრთოსანი ნიანგი, რომელიც დილაადრიან ჩამოუფრენს ჩვენს ავტორებს და გამოართმევს სიზმარში დაწერილ ლექსებს. ასე, რომ ჩვენს ზოგიერთ ავტორს სულაც აღარ დასჭირდებოდათ ხელის განძრევა.

მსგავსი შემთხვევებით არცერთი მათგანი არ დაველოდეთ პასუხგაუცემლად.

ბასსანჩელი

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლონია: ნ. შველიძე, ნ. ჯალაღონია, მ. ქარჩავა, ნ. ჯეღლიძე.

საქ. კმ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 20/1-1964 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კმ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1 ლენინის 14. შეკვ. № 39. უფ. 04031. ტირაჟი 40.000

ნახ. ბ. ლომიძისა



ჩრდილოატლანტიკის ბლოკის კულისებს მიღმა მიმდინარეობს ბრძოლა ამერიკისა და ინგლისის მონოპოლისტებს შორის. ახლახან ამერიკის ერთმა მონოპოლიამ, რომელიც „პრენდმენტის“ ტიპის რაკეტებს ამზადებს, ხელიდან გამოა-ცალა თავის ინგლისელ კოლეგებს დასავლეთგერმანიის შეკვეთა 100 მილიონი დოლარის რაოდენობით, ინგლისელები მათ უმზადებენ „ბლიუ დოკერის“ ტიპის რაკეტებს.



გატყავებული ლომი და ლომისტყაოსანი.